



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49223017

თარიღი:28/10/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 129

შპს „მაგთიკომი“-სათვის ოპტიკური კაბელის განთავსების მიზნით, იჯარის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 138 (ასოცდათვრამეტი) ერთეული გარე განათების ბოძის (ს/კ 29.00.338 29.00.339 29.00.143) გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 19 ოქტომბრის №48-482229273 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას შპს „მაგთიკომი“-სათვის ოპტიკური კაბელის განთავსების მიზნით, იჯარის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 138 (ასოცდათვრამეტი) ერთეული გარე განათების ბოძის (ს/კ 29.00.338 29.00.339 29.00.143) გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს შპს „მაგთიკომი“-სათვის ოპტიკური კაბელის განთავსების მიზნით, იჯარის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 138 (ასოცდათვრამეტი) ერთეული გარე განათების ბოძის (ს/კ 29.00.338 29.00.339 29.00.143) გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

